# ახალი ხარაგაული

**№312 (04), 17 თებერვალი, 2016 წ.**


## ბიუროს სხდომაზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა



15 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა გაიმართა. სხდომაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **კობა ლურსმანაშვილმა,** 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა.

ბიუროს წევრებმა გამგებლის 2015 წლის ანგარიში 7 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად შეიტანეს. საკრებულოს სხდომაზე დეპუტატები გამგებლის ანგარიშს მოისმენენ და შეაფასებენ. ბიუროს წევრებმა გამგებელ, **კობა ლურსმანაშვილს** რამდენიმე კითხვით მიმართეს:

-გაგრძელდება თუ არა გარე განათების ქსელის მოწყობა ბაზალეთი-ღარიხევის მიმართულებით, რა ხდება ხარაგაულის სოფლების გაზიფიცირებასთან დაკავშირებით, რა ბედი ელის ა(ა)იპ „სათნოების სახლისთვის" შეძენილ ფართს, რომელიც გასარემონტებელია?- ეს ის კითხვებია, რომლებიც სხდომაზე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ვარლამ ჭიპაშვილმა** დასვა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა **კობა ლურსმანაშვილმა, ვარლამ ჭიპაშვილის** მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა:

„რაც შეეხება ბაზალეთი-ღარიხევის მიმართულებით გარეგანათების ქსელის მოწყობას, მიმდინარე წელს ეს პროექტი განხორციელდება. ამ ეტაპზე ჩვენ ვატარებთ ექსპერიმენტს ელქტრონათურების დამონტაჟებაზე, რომლებიც საკმაოდ ეკონომიურია. თუ მოვახერხეთ და სისტემა გადავიყვანეთ ასეთ ელექტრონათურებზე, ეს თანხებს დაგვიზოგავს და გარეგანათების ქსელის მოწყობა, არა მარტო ღარიხევის მიმართულებით, არამედ სხვა მონაკვეთებზეც მოხდება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლების გაზიფიცირების საკითხზე მინდა მოგახსენოთ, რომ თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ვმსჯელობთ ამ თემაზე. ვფიქრობ, რომ მალე დაიწყება ხარაგაულის სოფლების გაზიფიცირება. იგეგმება უახლოეს მომავალში ენერგეტიკის მინისტრ, **კახი კალაძესთან** შეხვედრა, სადაც ამ საკითხზე აუცილებლად ვისაუბრებთ.

ა(ა)იპ „სათნოების სახლისთვის" გამოყოფილ ფართზე მინდა გიპასუხოთ, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი ფინანსები იქ სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად. მომზადდება ხარჯთაღრიცხვა, უახლოეს მომავალში ჩავატარებთ ტენდერს და ფართი გარემონტდება".

ნადაბურის მაჟორიტარმა-დეპუტატმა, **მიხეილ გელაშვილმა** ბიუროს სხდომაზე, გამგებლის ანგარიშის მოსმენის შემდეგ აღნიშნა, რომ 2015 წელი ნამდვილად წარმატებული იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის, თუმცა კარგი იქნებოდა, მხოლოდ იმაზე არ გვესაუბრა, რა გაკეთდა.

- „მაინტერესებს, რისი გაკეთებაა დაგეგმილი 2016 წელს ნადაბურის ადმინისტრაციული ერთეულისთვის?" - მიმართა კონკრეტული კითხვით მუნიციპალიტეტის გამგებელს **მიხეილ გელაშვილმა.**

„გასული სამი წლის განმავლობაში ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. იქ მაცხოვრებლებს ვაძლევთ იმედს, რომ ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია გზის მობეტონებასთან, ამბულატორიასთან და საბავშვო ბაღის არარსებობასთან, დადებითად იქნება გადაწყვეტილი და აღნიშნული პროექტები ნადაბურში აუცილებლად განხორციელდება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ინგა მაღრაძემ,** გამგებელ **კობა ლურსმანაშვილს** მიმართა:

„იქნებ გამოვკვეთოთ, ვინ არიან ის ადამიანები, ვინც პასუხისმგებელნი არიან ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებაზე, რომლებშიც ხარვეზები გამოვლინდა, მის ჩაბარებაზე და ა.შ. ვფიქრობ, მათ მიმართ გარკვეული ღონისძიებები უნდა გავატაროთ."

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის და ახალაგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **მარინა ვეფხვაძემ,** განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუ ასეთ კომპანიებს და ინდმეწარმეებს სამუშაოების შესრულებაზე უარს ვეტყვით.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, **თორნიკე ავალიშვილი** დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა მუნიციპალიტეტის გამგებელს ინფორმაცია ყველა იმ შესრულებული პროექტის შესახებ, რომელიც 2015 წელს განხორციელდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, რაზეც გამგებლისგან შემდეგი პასუხი მიიღო: „რა თქმა უნდა, ყველა პროექტის შესრულების შესახებ ვიცი და ვარ ინფორმირებული. იყო შენიშვნები ჩვენი მხრიდან, ასევე თქვენი მხრიდანაც, მაგრამ თქვენგან, ვგონებ, ცოტა გადაჭარბებული".

ბიუროს სხდომაზე ასევე განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვისა და დამტკიცების შესახებ.
2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N62 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.
3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N62 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგებლობების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.
4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხარაგაულის კულტურის ცენტრისათვის" დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N12 -ში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კინოთეატრის შენობა ნაგებობისა და მასზე დამაგრებული მიწის ფართის სარგებლობის უფლებით უზუფრუქტის წესით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის სხდომის დღის წესრიგში შევიდა.

**თეა ბერიძე**
**მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში**

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა თათბირზე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შესახებ ისაუბრა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **კობა ლურსმანაშვილმა,** გამგებლის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებზე ისაუბრა. „სასიამოვნო და მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის იმ ინფორმაციის გაგება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევების შედეგად, საჯარო მოხელეთა შესარჩევ კონკურსებში ხარაგაულმა საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურა. არასამთავრობოთა დიდმა ნაწილმა აღიარა, რომ ხარაგაულში საჯარო მოხელეთა კონკურსი გამართულად და ყოველგვარი დარღვევის გარეშე ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად იმერეთის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ვებ-გვერდმა kharagauli.ge ყველაზე მაღალი შედეგები აჩვენა. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით მოწმეს რეალურად ფუნქციონირებდა თუ არა აღნიშნული სერვისი გამგეობაში და დარწმუნდენენ, რომ ეს ყალბი ნომერი არ არის და დასმულ კითხვებზე ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს. ადამიანს, რომელსაც ხარაგაულში იმისთვის მოეჩქარება, რომ ამა თუ იმ საკითხზე ინფორმაცია მიიღოს, შეუძლია, უბრალოდ, დარეკოს და პასუხი ცხელი ხაზის მეშვეობით მიიღოს. ყველამ ვიცით, რომ ინოვაციური პროექტების მხარდაჭერის კუთხით, ხარაგაული ათ საუკეთესო მუნიციპალიტეტს შორის დასახელდა, ხოლო იმერეთის რეგიონში მოსახლეობის უმრავლესობამ ინტერნეტ-გამოკითხვის შედეგად ხარაგაულის გამგეობისა და გამგებლის მუშაობა დადებითად შეაფასა. მიუხედავად ამისა, გამოიკვეთნენ ადამიანები, რომლებსაც სურთ, ხარაგაულის წარმატებები რაღაც ფორმით გადაფარონ. გასული სამი წლის განმავლობაში ხარაგაულში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რომლებზეც ჯამში, დაახლოებით, 19 მილიონი ლარი გაიხარჯა. გამოჩნდნენ პიროვნებები და 900 ლარიანი პროექტი გააკრიტიკეს. ამიტომ ერთხელ კიდევ მოგიწოდებთ გამგებლის წარმომადგენლებს, რომ უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდოთ თქვენს ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე სამუშაოებს. თუ რაღაც ვერ იქნება წესრიგში, ამაზე პასუხი თქვენ მოგეთხოვებათ"- აღნიშნა გამგებლის წარმომადგენლებთან გამართულ თათბირზე **კობა ლურსმანაშვილმა.**



მოსახლეობას საშუალება აქვს, ყოველდღიურ რეჟიმში გაეცნოს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებისა და სიახლეების შესახებ. ასევე მინდა, გამოვყო ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი", რომელიც ძალიან აქტიურად მუშაობს. არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", რომელმაც ხარაგაულის ვებ-გვერდის მუშაობა დადებითად შეაფასა, იქვე აღნიშნავს, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სრული დატვირთვით მუშაობს ცხელი ხაზი. მათ შეა-

**მარიანა ბურჯალიანი**

## „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი" მარტოხელა დედას დაეხმარა



9 თებერვალს ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" (დირექტორი **ეკა შავიძე**) წარმომადგენლებმა და ა(ა) იპ „სათნოების სახლის" დირექტორმა, **გიორგი ჩიჩილიძემ,** ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მარტოხელა დედა **ნორა ხარატიშვილი** და მისი პატარა ქალიშვილი მოინახულეს. „მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის" წარმომადგენლებმა ნორა ხარატიშვილს რვა თვის ბავშვისათვის სპეციალური საკვები პროდუქტი და პამპერსები გადასცეს, ხოლო ა(ა)იპ „სათნოების სახლის" დირექტორმა, **გიორგი ჩიჩილიძემ** საკვები პროდუქტებით გაუწია დახმარება. აღსანიშნავია, რომ „მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი" მარტოხელა დედას ნორა ხარატიშვილს, ყოველთვიურად ეხმარება ბავშვის საკვებით (Humana).

ნორა ხარატიშვილი სოფელ ლაშეში რვა თვის ანასტასიასთან ერთად მარტო ცხოვრობს. სულ რამდენიმე ხნის წინ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, **კობა ლურსმანაშვილის,** ინიციატივით ნორას საცხოვრებელი ფართი გაურემონტდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ასევე უზრუნველყო ზამთარში მისი შეშით მომარაგებაც. აღსანიშნავია, რომ ქალბატონ ნორას საკვები პროდუქტებით ადგილობრივი ხელისუფლება ყოველთვიურად ეხმარება.

**ნორა ხარატიშვილი:** „განსაკუთრებული მადლობა მინდა, გადავუხადო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **კობა ლურსმანაშვილს.** ბატონი კობა უყურადღებოდ არასდროს მტოვებს. ხშირად მირეკავს და მეკითხება, რა მიჭირს. საკმაოდ მძიმე პირობებში მიწევდა ცხოვრება. ბატონი კობას გულისხმიერებით დღეს მე და ჩემი შვილი კეთილმოწყობილ ფართში ვცხოვრობთ. მუნიციპალიტეტის გამგეობა სისტემატურად მეხმარება სხვადასხვა სოციალური პაკეტით. ჩემდამი გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის მადლობელი ვარ, ღმერთმა გაგახაროთ"- დასძინა ნორა ხარატიშვილმა.

**თამარ მაღრაძე**

## სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია უნდა დაჩქარდეს



ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან გამართულ თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **კობა ლურსმანაშვილმა,** სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დარეგისტრირების საკითხებთან დაკავშირებით ისაუბრა. „საჯარო რეესტრის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილების მიხედვით, ერთი წლის ვადაში უნდა დასრულდეს მიწების დაკანონება. სხვა შემთხვევაში მიწის იმ ნაკვეთებს, რომლებიც საჯარო რეესტრში საკუთრებად არ იქნება რეგისტრირებული, საკუთრებაში სახელმწიფო გადაიფორმებს.

„სიახლეები არის მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით, საკმაოდ კარგად იმუშავეს **გია თავზარაშვილმა** და **მურმან არჯევანიძემ.** როგორც იცით, მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, ერთ წელიწადში მიწის მესაკუთრემ თუ ვერ მოასწრო და ვერ დაირეგისტრირა კუთვნილი მიწა, ეს მიწები ავტომატურად გადადის სახელმწიფო საკუთრებაში. ხოლო შემდეგ, ყოფილ მფლობელს, შესაძლოა, საბაზრო ფასში მოუწიოს გამოსყიდვა" - განმარტა **კობა ლურსმანაშვილმა.**

გამგებლის მრჩეველმა, **გია თავზარაშვილმა,** აღნიშნა, რომ სოფლად მაცხოვრებელს, ვისაც აქვს მიწის მესაკუთრის ცნობა, შეუძლია, მიმართოს ადმინისტრაციული ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებს, ხოლო ცნობის არქონის შემთხვევაში არქივს, რათა ცნობა გამოითხოვოს. „ყველა მოსახლე ვალდებულია, წლის ბოლომდე დაისაკუთროს მიწა. ვფიქრობთ, რომ ერთი წელი, ამ სამუშაოების ჩასატარებლად, ძალიან ცოტაა, ამიტომ საჭიროა, მოსახლეობამ, რაც შეიძლება მალე, დაიწყოს მიწის დარეგისტრირებაზე ზრუნვა. მუნიციპალიტეტში სულ ოთხი პიროვნებაა, რომელთაც აქვთ ლიცენზია, რომ აზომვითი სამუშაოები ჩაატარონ. ჩვენ გვქონდა მათთან საუბარი და მომსახურების ღირებულება 50 - ლარიდან 20 -ლარამდე დასწიეს. ეს არის ამ ადამიანების მხრიდან კეთილი ნების გამოვლენა, რისთვისაც მინდა წინასწარ მადლობა გადავუხადო მათ."

**კობა ლურსმანაშვილმა** თათბირზე ასევე ისაუბრა მუნიციპალიტეტის კუთვნილებაში არსებული ქონების შესახებ, რომელთაც სოფლად მაცხოვრებელი კერძო პირები თვითნებურად კომერციულ ფართად იყენებენ.

„მოვითხოვ, სასწრაფოდ მოხდეს რეაგირება იმ შენობა-ნაგებობებთან მიმართებაში, რომლებიც ჩვენს ბალანსზეა და რომელსაც ყოველგვარი ნებართვის გარეშე წლების განმავლობაში კერძო პირები კომერციულ ფართად იყენებენ. ჩემი თხოვნაა მოხდეს დროული რეაგირება და კანონთან შესაბამისობაში მოიყვანოთ ეს საკითხი. ხშირია, როცა მათი ელექტროენერგიის გადასახადს მუნიციპალიტეტი იხდის." - განაცხადა **კობა ლურსმანაშვილმა.**

**აზომვითი სამუშაოების ჩასატარებლად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**

**1) მისამართი - ხარაგაული, 9 აპრილის ქ. N31.**

**შ.პ.ს. „მენო" - დირექტორი - მერაბ გიორგაძე**

**ტელ.: 593 30 27 99**

**2) ინდმეწარმე: „ამირან ხარატიშვილი"**

**მის.: ხარაგაულის სოლომონ მეფის ქ. N61-ბ**

**ტელ:0433 22 17 36**

**მობ: 593 36 14 57 (593 17 83 24)**

**3)ინდმეწარმე: გივი დეკანოსიძე**

**მის: ხარაგაული. სოლომონ მეფის N47.**

**ტელ:598-53-96-63.**

**მარიანა ბურჯალიანი**

## ბაზალეთის ცენტრალური გზის მოასფალტება გრძელდება

ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატის, **ვარლამ ჭიპაშვილის,** ინფორმაციით ბაზალეთის ცენტრალური გზის მოასფალტების სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ტენდერი მიმდინარე წლის 11 თებერვალს გამოაცხადა და გამარჯვებული სუბიექტი, შესყიდვების კანონის შესაბამისად, 4 მარტს უნდა გამოვლინდეს. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდიან ფინანსდება და მისი სავარაუდო ღირებულება 273 420 ლარია.

## ხარაგაულში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად რეგიონული განვითარების ფონდიდან 2 364 578 ლარი გამოიყო



8 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **კობა ლურსმანაშვილმა,** ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებთან თათბირი გამართა. გამგებელი წარმომადგენლებს იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ესაუბრა, რომლებიც მიმდინარე წელს ხარაგაულში განხორციელდება.

**კობა ლურსმანაშვილის** ინფორმაციით, მთავრობის 4 თებერვლის სხდომის 175 განკარგულების საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს რეგიონული განვითარების ფონდიდან 2 364 578 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შვიდი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება.

აღნიშნული თანხის ფარგლებში მოხდება უბისა-ღორეშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ უბისის საავტომობილო ხიდიდან სოფელ ღორეშის ადმინისტრაციულ ცენტრამდე. პროექტის ღირებულება 1 139 778 ლარია; დაგეგმილია დაბის N2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაც, რომელზეც 132 288 ლარი დაიხარჯება; სოფელ ხევის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის 84 274 ლარია გამოყოფილი; სოფელ ღორეშის, წიფისა და მოლითის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის პროექტის ჯამური თანხა კი - 157 165 ლარით განისაზღვრა; ხარაგაული—ბაზალეთის გზის რებილიტაციის პროექტი ადმინისტრაციული ცენტრიდან სოფელ ღარიხევის გადასახვევამდე 273 420 ლარს შეადგენს; გზის დამცავი კედლების მოწყობისათვის დაიხარჯება 103 290 ლარი; ასევე მოხდება სოფელ გედსამანიის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (სკოლამდე) თანხით - 474 362 ლარი.

პროექტების შესრულებისთვის საჭირო თანხის 5% კი (დაახლოებით 150 ათას ლარი) როგორც ამას კანონი ითვალისწინებს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **კობა ლურსმანაშვილმა,** ასევე „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ შესახებ ისაუბრა და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებს მოუწოდა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში აქტიურად ჩაერთონ და სამუშაოების შესრულებაზე მაქსიმალური მონიტორინგი განახორციელონ.

**მარიანა ბურჯალიანი**

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სათნოების სახლი“ სოციალურად დაუცველ ოჯახებს საკვები პროდუქტებით დაეხმარა

ა(ა) იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორი, **ეკა შავიძე,** ა(ა) იპ „სათნოების სახლის“ დირექტორი, **გიორგი ჩიჩილიძე** და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ვარლამ ჭიპაშვილი,** ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ უხუცეს ქალბატონ, **ქეთევან თხელიძეს,** ესტუმრნენ და საკვები პროდუქტებით დაეხმარნენ. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ქალბატონი ქეთევანის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს და სისტემატურად ეხმარება. ამავე დღეს საკვები პროდუქტებით დახმარება გაეწია სოფელ ლაშეში მცხოვრებ **სიმონ შავიძეს.** სიმონ შავიძის ოჯახის მდგომარეობა ეკონომიურად მძიმეა, მათ ოჯახში ორი მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავთ და სოციალური დამხარება გაურკვეველი მიზეზების გამო შეჩერებული აქვთ. გარდა საკვები პროდუქტებისა სიმონ შავიძის ოჯახს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადი ფულადი დახმარებაც გაეწია.



## ... ხშრად მოდით ამ სოფელში... გელოდებით...

მიმდინარე წლის 30 იანვარს დილიდან ისმოდა „მრავალჟამიერი“ წიფის სარიტუალო სახლში. ირგვლივ მიდამო თოვლს დაეფარა.

გოლათუბნის მთები ბანს აძლევდა გუდათუბნის მთებს, ლიხის ქედიდან ამაყად გადმომდგარი პიმპილურის უბნიდან მოიჩქაროდნენ სოფლის ცენტრისკენ ახალგაზრდები, გული სწყდებოდათ მოხუცებს, რომ ვერ მიდიოდნენ იქ, სადაც რამოდენიმე საათით მაინც გადაავიწყდებოდათ არსებული ყოფითი პრობლემები.

წიფის სარიტუალო სახლში 70-მდე ადამიანი შეკრებილიყო და სიამოვნებით უსმენდნენ ხარაგაულის ფოლკლორის სახლთან არსებულ ბავშვთა ფოლკლორულ - ქორეოგრაფიულ ანსამბლ „საუნჯეს“ (ქორეოგრაფი რომან ბუაჩიძე, ლოტბარი მაია მაღრაძე).

ერთმანეთს ცვლიდნენ ზამთრის სუსხით ლოყებდაწითლებული გოგონები და ბიჭუნები. „აჭარულით“ თუ „მთიულურით“, „ფერხულითა“ თუ „რაჭული მუშურით“, „ქართულით“ თუ „ჯეირანით“ გვილოცავდნენ ზამთრის ამ ლამაზ დღეს, დიდთოვლობას, ერთმანეთის გამხნევებასა და გამხიარულებას. მოცეკვავეებს მომღერლები უერთდებოდნენ და ისმოდა გადაძახილები, შემოძახილები... და ისმოდა „მრავალჟამიერი.“

ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლ „კახორის“ მომღერლები (ხელმძღვანელი მაია მაღრაძე), თითქოს კახორის მთისთვის ხმის მიწვდენას ცდილობენო, ისე მხნედ, შემართებულად, ხმაშეწყობილად აგუგუნებდნენ „ჩაკრულოს,“ „სოფლის სიმღერას,“ „შენ, ბიჭო ანაგურელოს,“ „შავლეგოს“ და სხვა. ქართული თუ მეგრული სიმღერის ჰანგები ეფერებოდა იმ დღეს ყველა თაობის წიფელ, გოლათუბნელ, გუდათუბნელ და ფონელ მსმენელს.

გულაჩუყებული და ცრემლმორეული მასპინძლები ზაფხულისთვის გულღიად ეპატიჟებოდნენ ასე გამორჩეული გარეგნობის, ვაჟკაცური აღნაგობისა და მომაჯადოებელი ხმებით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს.

თბილი, ღიმილიანი, ცრემლიანი სახეებით მოწვევას სტუმრები სიამოვნებით თანხმდებოდნენ და სიმღერითვე ემშვიდობებოდნენ ...

„სულ არ მოვალთ ამ სოფელში...
თქვენ, რომ არ გვეგულებოდეთ“...

ღმერთმა დაგლოცოთ და გაძლიეროთ, მრავალი გაახარეთ და თქვენც გაიხარეთ!

**წიფის ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრებლები**

## საკრებულოს სხდომაზე საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს

9 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, საკრებულოს წევრებს 4 თებერვალს გამოცემული მთავრობის N175 განკარგულება გააცნო. განკარგულების თანახმად რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 2 364 578 ლარი გამოიყო. როგორც გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსმა, მალხაზ ფხალაძემ, საკრებულოს სხდომაზე განმარტა, პროექტების განსახორციელებლად ტენდერი უახლოეს დღეებში გამოცხადდება და სამუშაოები გაზაფხულზე უკვე დაიწყება. ასევე სუბსიდიის სახით 4 000 ლარი გადაეცემა ა(ა)იპ „მუნიციპალური მართვისა და სპორტის განვითარების ცენტრს“ კომუნალური ხარჯების დაფარვის მიზნით.



სხდომაზე ნადაბურის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, **მიხეილ გელაშვილმა,** ფონდებიდან დაფინანსებულ პროექტებზე ისაუბრა და აღნიშნა: მნიშვნელოვანია ამ პროექტების განხორცილება, მაგრამ ჩემში ეს ყოველივე იწვევს სუბიექტურობის განცდას, ხოლო ნადაბურის მოსახლეობაში ჩემი, როგორც დეპუტატის არააქტიურობას. არსად არაა ნადაბური ნახსენები. სოფელში ბაღის ასაკის 36 ბავშვია, ბაღები კი ისეთ ადმინისტრაციულ ერთეულში აშენდა სადაც უფრო ნაკლები კონტიგენტია, სწორედ ამიტომ მიჩნდება სუბიექტურობის განცდა“.

რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებულ პროექტებზე ისაუბრა და **მიხეილ გელაშვილის** განცხადებას გამოეხმაურა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ვარლამ ჭიპაშვილი.** „ვფიქრობ, რომ წინ საკმაოდ წარმატებული 2016 წელი გველის. ხარაგაულში არაერთი მასშტაბური და მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა მადლობას გამოთქვამს ყველა იმ თანამდებობის პირისა და სტრუქტურის მიმართ, რომელთაც ჩვენს სოფელში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას დაუჭირეს მხარი. მჯერა, რომ ჩვენ შევძლებთ თანხების დროულად ათვისებას. მართალია, არსებული ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე ყველაფერს ვერ გავაკეთებთ, მაგრამ პრიორიტეტები სწორად უნდა შეირჩეს. ვეთანხები ჩემს კოლეგას, რომ ნადაბურში ბაღი უნდა აშენდეს, მაგრამ ვერ დავეთანხმები იმაში, რომ, მისი აზრით, პრობლემის მოუგვარებლობა არა რესურსების არქონაში, არამედ მაჟორიტარი დეპუტატის პასიურობაში ან სუბიექტურ მიდგომებშია. რაში გამოიხატება სუბიექტური მიდგომა, ეს გაუგებარია. აღნიშნული პროექტები მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიცირებული და საკრებულოს მიერ მოწონებული იყო,ასევე პროექტები დამტკიცდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ და არა კონკრეტული პირის მიერ. სად ხედავთ სუბიექტრობას? თქვენ კითხვის ნიშანს სვამთ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე ცენტრალური ხელისუფლების მიმართ?! ამ მიდგომას ნამდვილად ვერ გავიზიარებ“ - აღნიშნავს **ვარლამ ჭიპაშვილი.**

საკრებულოს თავმჯდომარის, **ინგა მაღრაძის** თქმით, თუ ტენდერებით რაიმე თანხები დაიზოგება, ჩვენ მზად ვართ, ნადაბურში საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტს მხარი დავუჭიროთ. „მივმართავთ გამგეობას ოფიციალური წერილით, რათა მოამზადოს ნადაბურის საბავშვო ბაღის პროექტი და თუ ამისთვის თანხები გამოჩნდება, საკითხზე აუცილებლად ვიმსჯელებთ“.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში — 6 611,1 ათასი ლარი 2 364, 6 ათასი ლარით გაიზარდა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე 8975,7 ათასი ლარით განისაზღვრა. ასევე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში 6 780.0 ათასი ლარი გაიზარდა 2 368,6 ათასი ლარით და 9 148,6 ათასი ლარით განისაზღვრა; ხარჯების დაფინანსების წყაროდ, გარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 2 364,6 ათასი ლარისა, გამოყენებულია 2016 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საბიუჯეტო საკუთარი სახსრების ნაშთი 4,0 ათასი ლარი.“

**მარიანა ბურჯალიანი**

## ბორის სკოლა - პანსიონის სამოქალაქო კლუბის „Smart კლუბის“ წევრები მუნიციპალიტეტის გამგებელს შეხვდნენ



10 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, **კობა ლურსმანაშვილი** ბორის სკოლა - პანსიონის (დირექტორი **ჰამლეტ ბერაძე**) ბაზაზე არსებული სამოქალაქო „Smart კლუბის“ (ხელმძღვანელი - **მაია ბარბაქაძე**) წევრებს შეხვდა.

რამდენიმე წელია, რაც არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივით ბორის სკოლა-პანსიონში სამოქალაქო კლუბი დაარსდა. „Smart კლუბის“ წევრები ძირითადად, სოციალური ხასიათის პროექტებს ახორციელებენ, ისინი თავად ირჩევენ თემებს და წერენ პროექტებს. აღნიშნული ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა სკოლასთან და ბორის სკოლა—პანსიონის აქტიური მუშაობით ძალიან კმაყოფილია. არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებით, კლუბის წევრები ძირითადად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს ეხმარებიან.

შეხვედრაზე იმყოფებოდა ბორის სკოლა-პანსიონის დირექტორი **ჰამლეტ ბერაძე,** რომელმაც „Smart კლუბისა“ და მის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ისაუბრა. „სამოქალაქო კლუბი ძირითადად სოციალური ხასიათის პროექტებს ახორციელებს, რომელსაც მოსწავლეები ამზადებენ. მიუხედავად ამისა, გვსურს პროექტების არეალის გაფართოება. ამ იდეას არასამთავრობო ორგანიზაცია „ფონდი თბილისის — მოზარდთა სახლი“ დადებითად შეხვდა. ჩვენი სურვილია, „Smart კლუბმა“ და მუნიციპალიტეტის გამგეობამ სხვადასხვა პროექტი ერთობლივად დავგეგმოთ. ჩვენ კვირაში ერთხელ ვაკეთებთ სხვადასხვა თემის პრეზენტაციას, საბოლოოდ გამოვლინდება საუკეთესო პრეზენტატორი, რომელსაც წავახალისებთ“ - დასძინა **ჰამლეტ ბერაძემ** და აქვე მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის გამგებელს თანადგომისათვის და იმ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, რაც კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა **კობა ლურსმანაშვილმა** „Smart კლუბის“ წარმომადგენლებს მიმართა: „კარგი იქნება, თუ ეკოლოგიური შემეცნებითი სახის პროექტებსაც განახორციელებთ, რათა თქვენს თანატოლებში იყოს მეტი აქტივობა და დაინტერესება. თუ თქვენ ზაფხულისთვის დაგეგმავთ რაიმე მასშტაბურ ღონისძიებას, მუნიციპალიტეტი მას დააფინანსებს. ასევე წავახალისებთ საუკეთესო პრეზენტატორს სიგელითა და ფასიანი საჩუქრით. კარგი იქნება , თუ ითანამშრომლებთ ინოვაციების ცენტრთან. იქ ხშირად ტარდება ტრენინგები და შეგიძლიათ, დაესწროთ“ -აღნიშნა ბატონმა კობამ.

შეხვედრაზე ასევე, ისაუბრეს ახლო მომავალში დაგეგმილ პროექტებზე, რომლებსაც „Smart კლუბი“ უკვე მუნიციპალიტეტის გამგეობის ჩართულობით განახორციელებს. კლუბის ხელმძღვანელის, **მაია ბარბაქაძის,** ინფორმაციით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ფონდი თბილისის — მოზარდთა სახლს“ წლის ბოლომდე უკვე რანდენიმე პროექტის განხორციელება აქვს დაფინანსებული.

**თამარ მაღრაძე**

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მშვიდობის კორპუსის დაფინანსებით საზაფხულო ბანაკი იფუნქციონირებს

14 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლები სტუმრობდნენ. ისინი მუნიციპალიტეტის გამგებელს **კობა ლურსმანაშვილს,** გამგებლის მრჩეველს ტურიზმის საკითხებში, **მამუკა ჭიპაშვილსა** და მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის დირექტორს - **ბერიკა თურმანიძეს** შეხვდნენ. მშვიდობის კორპუსი ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1961 წელს პრეზიდენტ ჯონ კენედის ინიციატივით დაფუძნდა. მშვიდობის კორპუსი მსოფლიოს უზიარებს შეერთებული შტატების ყველაზე ძვირფას რესურსს - ამერიკელ ხალხს. მოხალისეები სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან და ამერიკის მრავალფეროვანი ცხოვრების მაგალითს წარმოადგენენ. მშვიდობის კორპუსი საქართველოში საქართველოს მთავრობის თხოვნით მოღვაწეობს. კვალიფიციური ადამიანური რესურსების გამოყენების გზით, მშვიდობის კორპუსი ქვეყანაში სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, აგრეთვე საქართველოსა და ამერიკას შორის მეგობრობის გაღრმავებას უწყობს ხელს. მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლებმა ხარაგაულის ტურიზმის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ზვარის ბანაკის ტერიტორია მოინახულეს. ორმხრივი შეთანხმებით გადაწყდა, რომ 25 ივლისიდან 5 აგვისტომდე ზვარეში ახალგაზრდული კარვების ბანაკი გაიმართება, რომელსაც მშვიდობის კორპუსი დააფინანსებს. ბანაკში ორმოცდაათი ახალგაზრდა დაისვენებს. ბანაკს ორგანიზებას ჩოხატაურის მშვიდობის კორპუსის მოხალისე - სკოტ ლილესი გაუწევს, რომელიც ჩოხატაურის საკრებულოს მოხალისეა. აღსანიშნავია, რომ ბანაკში დასვენება იმ ქალაქისა თუ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს შეეძლებათ, რომელთანაც მშვიდობის კორპუსის მოხალისეა.



**თამარ მაღრაძე**

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა**
**კობა ლურსმანაშვილი**
**მოხელეთა რაოდენობა 132**
**თანამდებობის პირთა რაოდენობა 13**
**საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველსაყოფად 2000,2 ათასი ლარის ხარჯი**
**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2016 წელს შეადგენს 8, 975.7 ლარს გასავალი 9, 148. 6**
**საანგარიშო პერიოდში (2015 წელს) 10726,8 ათას ლარს**

საანგარიშო პერიოდში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის მიზნით დაგეგმილი იყო: სოფლის განვითარების პროგრამით 128 პროექტი თანხით - 767 473 ლარი, სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის 33 პროექტი - 158 813 ლარი; წყლის სისტემის რეაბილიტაციისათვის 16 პროექტი - 47 278 ლარი; გარე განათების მოსაწყობად 3 პროექტი - 27 500 ლარი; ხიდებისა და ხიდბოგირების აშენება - რეაბილიტაციისათვის 5 პროექტი - 111 000 ლარი; საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისათვის 4 პროექტი - 30 000 ლარი; კიცხის საზოგადოებრივი სახლის ასაშენებლად - 152 000 ლარი; სხვა 66 პროექტისათვის - 240 882 ლარი; ადგილობრივი დაფინანსებით ინფარსტრუქტურული პროექტების განხორციელებაში დაიხარჯა 255 722 ლარი. 2015 წლის ნოემბრის თვეში სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და კერძო საკუთრებაში არსებული სახლების რეაბილიტაციისათვის ოპერატიულად მომზადდა 20 პროექტი თანხით - 145 000 ლარი. რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან დაფინანსდა 8 პროექტი თანხით - 2 408 490 ლარი, დასრულებულია ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პროექტი, ხოლო რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განსახორციელებელი პროექტებიდან დასრულებულია 7, მიმდინარეობს ხარაგაული-ფარცხნალის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტმა დახარჯა 13,3 ათასი ლარი,სტიქიით დაზიანებული გზების რეაბილიტაციაზე 58,0 ათასი ლარი, მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად დაიხარჯა 0,9 ათასი ლარი, 6,0 ათასი ლარი მიიმართა დაბა ხარაგაულში მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ქუჩების მიმდებარედ არსებული ხმელი ხეების მოსაჭრელად; დასუფთავების ღონისძიებების სუბსიდირებაზე - 519,0 ათასი ლარი, რითაც მომსახურება გაეწია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებს ზვარე, მოლითი, ბეჟათუბანი, დიდვაკე, ჯაფაროული,ბაზალეთი, ფარცხნალი,თეთრაწყარო, საქარიქედი,კიცხი,ხიდარი, ვარძია, წყალაფორეთი, ბორი, ლაშე, უბისა, მაქათუბანი, ბორითი, საქასრია, ვერტყვიჭალა, ხევი, ხუნევი, რიკოთი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 143 ცალი ნარჩენების შემაგროვებელი კონტეინერი. აღნიშნული პროექტების განხორციელებამ მუნიციპალიტეტში გააუმჯობესა ბენეფიციართა გადაადგილება კომფორტულად მოასფალტებულ ხიდრისა და ბაზალეთის, მოხრეშილ ღორეშა- მარიამწყარო - ბორითის გზებზე, მოწესრიგებულმა საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიამ და კომუნიკაციებმა კომფორტული გახადა ავადმყოფთა მომსახურება.ღია ესტრადის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მოგვეცემა ფართომასშტაბიანი კულტურული ღონისძიებების ჩატარების საშუალება, სადაც ყველა მსურველს ექნება დასწრების შესაძლებლობა, მოსახლეობას ყოფა გააუმჯობესა სასმელი წყლის სისტემის მოწყობამ, გარე განათებებმა, წყლის წისქვილებმა, შეკეთებულმა და ახლად აშენებულმა ხიდებმა და ხიდბოგირებმა, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელებმა, მგზავრთა მოსაცდელებმა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებმა, შემოღობილმა სასაფლაოებმა, შეკეთებულმა საბავშვო ბაღის შენობებმა, ე.წ. „სარიტუალო სახლიებმა“. ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციამ - სადაც ფუნქციონირებს ინოვაციების ცენტრი. კომფორტული გარემო შეექმნება კიცხის მოსახლეობას საზოგადოებრივი სახლის ექსპლუატაციაში შესვლით.

მომავალი წლისათვის მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით დაგეგმილი აქვს : რეგიონალური განვითარების ფონდიდან 7 პროექტი თანხით 2,489,033,0 ლარი, საიდანაც 5%, 124,000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება: უბისა-ღორეშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ უბისის საავტომობილო ხიდიდან სოფელ ღორეშის ადმინისტრაციულ ცენტრამდე თანხით - 1 199 767 ლარი; დაბის N2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია თანხით - 139 251 ლარი; ხევის საბავშვი ბაღის რეაბილიტაცია თანხით - 88 710 ლარი; ღორეშის, წიფისა და მოლითის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია თანხით - 165 438 ლარი; სოფელ გედსამანიის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (სკოლამდე) თანხით - 499 327 ლარი; გზის დამცავი კედლების მოწყობა თანხით - 108 727 ლარი; ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია ადმინისტრაციული ცენტრიდან სოფელ ლარიხევამდე თანხით - 287811 ლარი. ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის მიერ შერჩეული სხვადასხვა სახის ინფრასრტუქტურული პროექტი, ხოლო, რაც შეეხება, ადგილობრივი ბიუჯეტით დაგეგმილი 375 000 ლარის ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მათი ჩამონათვალი და შესაბამისი თანხა ასეთია: გარე განათების მოწყობა ბაზალეთისა და კიცხის ა/ერთეულებში თანხით - 39300 ლარი , კიცხის საზოგადოებრივი სახლის დასრულება, თანხით - 42000 ლარი , სოციალური დაცვის უზრუნველყოფისათვის ობიექტების რეაბილიტაცია: დაბა ხარაგაულში „სათნოების სახლის“ რეაბილიტაცია, სოფელ ვერტყვიჭალასა და სოფელ კიცხში შენობების რეაბილიტაცია თანხით - 41000 ლარი, ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის ინვენტარის შეძენა, თანხით - 30000 ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება თანხით - 60700 ლარი, დაბა ხარაგაულში სანიაღვრე და საკანალიზხაციო არხების მოწყობა-რეაბილიტაცია თანხით - 20000 ლარი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდებისა და ხიდ-ბოგირების აშენება- შეკეთება, თანხით - 60000 ლარი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემის რეაბილიტაცია-მოწყობა თანხით - 59700 ლარი, ბაღების მშენებლობა - რეაბილიტაცია, თანხით - 23200 ლარი;

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან სოფელ მარელისში მოასფალტდება ცენტრალური გზა, რომლის საპროექტო ღირებულება შეადგენს 1 300 000 ლარს, სოფელ უბისაში ტაძრის მიმდებარედ დასრულდება კულტურული მემკვიდრეობის ზონის კეთილმოწყობა (საპროექტო ღირებულება 1 429 750 ლარი). მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალური ფონდიდან სოფელ დიდვაკისა და საღანძილის საბავშვო ბაღების პროექტების დაფინანსების მოპოვებაზე.

ამჟამად მიმდინარეობს დაბის ტერიტორიაზე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ახალი საავადმყოფოს მშენებლობა.(1,600,000ლარი)

საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა ზედამხედველობა შესასრულებელ სამუშაოებსა და მის მიღება ჩაბარებაზე. მომზადდა მუნიციპალიტეტის 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების, რგფ ფონდიდან დასაფინანსებელი 2016 წლის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ასევე მომზადდა და მუნიციპალური განვითარების ფონდს განსახორციელებლად წარედგინა სოფელ მარელისის საავტომობილო გზის რეაბილიტაცის პროექტი, სოფელ დიდვაკის და საღანძილის საბავშვო ბაღების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. საანგარიშო პერიოდში გაცემულია: 18 ტექნიკური პირობა საამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენებზე, 45 შეთანხმება სარეკონსტრუქციო სამონტაჟო და მიშენების პროექტზე, მშენებლობის ნებართვა 14 ობიექტისათვის და 7 ობიექტის ვარგისად აღიარება.

ორგანიზება და კონტროლი ეწეოდა მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების, გაზიფიცირებისა და ელექტრო ენერგიის აბონენტთა გამრიცხველიანების საკითხებს (მუნიციპალური საჭიროებებისათვის).

პროექტის შესრულების პროცესში არსებული დარღვევებისათვის პირგასამტეხლო დაეკისრათ; ხარაგაული - ბაზალეთის გზის მოასფალტების სამუშაოების შემსრულებელს, შპს „ნიუ ვეივი“-39 000ლარი, ი/მ ზურაბ ხაჩიძეს 94 ლარი, ი/მ სულიკო ჭყოიძეს 128 ლ.ი/მ ვეფხვია ღონღაძეს 280 ლ. ი/მ ზურაბ გოგოლაძეს 98 ლ. ჯამბულ ლომიძეს 93 ლ. ი/მ ჯამბულ ლომიძეს 120 ლ. ი/მ გია გლუნჩაძეს 114 ლ. შპს „ტუკა“ 184 ლ. ა(ა) იპ „ხარაგაულკეთილმოწყობას “ 269 ლ. ი/მ გია გლუნჩაძეს 107 ლ. სულ პირგასამტეხლოს სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა 40487 ლარი.

მომზადდა სარჩელები და შევიდა სასამართლოში შემდეგ მეწარმეთა მიმართ

ხელშეკრულება N 122 სს „იბერია 21“ - 10097 ლარზე.

ხელშეკრულება N 158ინდ, მეწარმე მევლუდი ძიძიგური-7887 ლარზე.

ხელშეკრულება N 168 ინდ. მეწარმე დიმიტრი ღამბაშიძე- 208,93 ლარზე.

ხელშეკრულება N169 ინდ. მეწარმე დიმიტრი ღამბაშიძე -1142,75 ლარზე.

ხელშეკრულება N 253 სს „მარკშეიდერი“ — 720 ლარზე.

ხელშეკრულება N 254 სს „მარკშეიდერი“ - 489,24 ლარზე.

ხელშეკრულება N 3 შ.პ.ს „L ჯგუფი“ — 24 412, 50 ლარზე.

ხელშეკრულება N118 ინდ. მეწარმე „ბესარიონ დავაძე“ - 679,46 ლარზე.

ხელშეკრულება N 192 ინდ. მეწარმე „გურამი ღონღაძე“ - 60 ლარზე.

ხელშეკრულება N248 ინდ. მეწარმე „გიორგი თხელიძე“ - 799,25 ლარზე.

ხელშეკრულება N251 „შპს „ფუგო“ –67,50 ლარზე.

ხელშეკრულება N384 ინდ. მეწარმე ვლადისლავ ბულიგინი - 1154,97 ლარზე.

ხელშეკრულება N295 გუმბათი 7 - 49 578,55 ლარზე.

სულ სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოში ამ ეტაპზე შეტანილია 97 297,15 ლარზე და დღემდე გრძელდება სარჩელების მომზადება იმ მეწარმეთა მიმართ რომელთაც დაკისრებული აქვთ პირგასამტეხლოები.

ნაწილი სასარჩელო მოთხოვნები პირველი ინსტანციის სასამართლომ უკვე დააკმაყოფილა და დაავალა მათ დაკისრებული პირგასამტეხლოების გადახდა, კერძოდ ესენია:სს „იბერია 21“, ინდ, მეწარმე მევლუდი ძიძიგური , ინდ. მეწარმე დიმიტრი ღამბაშიძე, სს „მარკშეიდერი“, ინდ. მეწარმე ბესარიონ დავაძე , ინდ. მეწარმე „გურამი ღონღაძე“ , „შპს „ფუგო“ , ინდ. მეწარმე ვლადისლავ ბულიგინი, რომელთა საერთო გადასახდელი თანხა შეადგენს 22 506,85 ლარს, ხოლო შ.პ.ს „L ჯგუფი“, „გუმბათი 7“ -ის და ინდ, მეწარმე გიორგი თხელიძის მიმართ სარჩელი შეტანილია სასამართლოში და ველოდებით სასამართლო პროცესს.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას გაწეულმა ზედამხედველობამ ერთგვარად აამაღლა შესრულების ხარისხი და ექსპლუატაციაში გაშვების დრო.

განათლებაზე საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული 1252,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 1237,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 98,8 პროცენტით, სკოლამდელი დაწსებულების სუბსიდირებას მოხმარდა 991,7 ათასი ლარი, კიცხის სკოლა- ინტერნატის სუბსიდირებას 136,6 ათასი ლარი და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებას 109,2 ათასი ლარი. მიმდინარე წელს გაიხსნა, სოფელ წყალაფორეთის, წიფისა და ზვარის საბავშვო ბაღები.

საანგარიშო წელი გამოირჩეოდა კულტურული, რელიგიური, სპორტული და ახლაგზრდული ღონისძიებების სიმრავლით, მარტო კინოთეატრიში 70 მდე სხვადასხვა სახის ღონისძიება ჩატარდა. ასევე ჩატარდა: სპორტულ-გასართობი თამაში „მხიარული სტარტები“ (რომელშიც მონაწილეობდა 21 საჯარო სკოლის 400-მდე მოსწავლე); მინი ფეხბურთის ჩემპიონატი; კალათბურთის ჩემპიონატი; სამაგიდო თამაშები შშშ პირთა მონაწილეობით; ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაციხეში სპორტული ღონისძიება. მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში; პროექტ „იმერეთის ხმის“ შესარჩევი ტური (რომელშიც გაიმარჯვა და ტიტული „იმერეთის ხმა“ მოიპოვა სალომე კვირიკაშვილმა), ლიტერატურული კონკურსი „ოდეონი“, რეზო თაბუკაშვილის ძეგლის გახსნასთან ერთად გაიმართა ლიტერატურული თეატრის იუბილე, მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი ძალების მონაწილეობით აღინიშნა წლის განმავლობაში ყველა მნიშვნელოვანი თარიღი. მოეწყო გასვლითი სპექტაკლების ჩვენება ჩვენი თეატრების მიერ მუნიციპალიტეტის რამოდენიმე სოფელში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, ოთარ აბაშიძის სახალხო თეატრის მიერ გაიმართა ორი პრემიერა, „დარისპანის გასაჭირი“ და საბავშვო სპექტაკლი „სათაგური“, ხალხური შემოქმედების სახლმა სტიქიით დაზარალებულთათვის ქალაქ თბილისში მოაწყო საქველმოქმედო საღამო, სამუსიკო სკოლამ კონცერტი „მონატრებული მ,ელოდიები“, ისტორიულ მუზეუმმა ღვინის ფესტივალი, ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ რამდენიმე საინტერესო შეხვედრა, ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრმა სათავგადასავლო ტურ-თამაშები და ლაშქრობები, ინტელექტუალური თამაში „რა?, სად?, როდის?“, მოეწყო კარვების ბანაკი სოფელ ზვარეში, პროგრამა „ეტალონიში“ გამარჯვებული ბავშვებისთვის.

მონაწილეობა მივიღეთ: ოთხ თეატრალურ ფესტივალში, მათ შორის , ლატვიაში, ქუთაისობის ტრადიციულ დღესასწაულსა და ქუთაისში გამართულ ფოლკლორის ეროვნულ დათვალიერება - ფესტივალში, (კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები „უბისმა“, და „ოდილამ“ ხალხური შემოქმედების სახლთან არსებულმა ანსამბლმა „კახორმა“ აგრთვე ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა); საჩხერეში გამართულ ფესტივალ „ნათელას სიმღერაში“ (რომელშიც საპრიზო ადგილი და ფულადი პრემია მოიპოვა დუეტმა ხარაგაულიდან); აკაკის იუბილესადმი მიძღვნილ ქართული საგალობლების ფესტივალში; მარათონში „ვირბინოთ მსოფლიოსთან ერთად“; ვახანში გამართულ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულში; სოფელ ხევში მძლეოსნობის ტურნირში; სოფელ ბორითში მინი ფეხბურთის ჩემპიონატში.

ვუმასპინძლეთ: ოლიმპიურ ცეცხლს; თანამედროვე მწერლებს და პოეტებს; საქართველოს სახალხო არტისტ ლეო ანთაძეს; საპატრიარქოს ეგიდით გამართულ ფესტივალს „აღდგომიდან ამაღლებამდე“; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებს: „ცოცხალი წიგნები“, საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონის“ (გამარჯვება მოიპოვა მარელისის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლემ მარია ფცქიალაძემ);

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებებისათვის დაგეგმილი 1613,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 1582.2 ათასი ლარი. აქედან სპორტის განვითარებაზე დახარჯულია 614,9 ათასი ლარი, სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 4,9 ათასი ლარი, სპორტული სკოლის სუბსიდირებაზე 235,0 ათასი ლარი, საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა -2009 -ის“ დაფინანსებაზე 250,0 ათასი ლარი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 125,0 ათასი ლარი. კულტურის განვითარებაზე 907,4 ათასი ლარი, აქედან 91,7 ათასი ლარი საქ. მთავრობის N 39 განკარგულებით დახარჯულია ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციაზე, ხოლო კულტურის სუბსიდირებას მოხმარდა 815,7 ათასი ლარი, მათ შორის, სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე 99,8 ათასი ლარი, ხალხური შემოქმედების სახლის სუბსიდირებაზე 80,0 ათასი ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 276,5 ათასი ლარი, ისტორიული მუზეუმის სუბსიდირებაზე 96,0 ათასი ლარი და ლიტერატურული თეატრის სუბსიდირებაზე 55,0 ათასი ლარი. ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობაზე 47,5 ათასი ლარი, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე დაიხარჯა 12,4 ათასი ლარი. განათლებაზე 2015 წელში გათვალისწინებული 1252,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 1237,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 98,8 პროცენტით, სკოლამდელი დაწესებულების სუბსიდირებას მოხმარდა 991,7 ათასი ლარი, კიცხის სკოლა- ინტერნატის სუბსიდირებას 136,6 ათასი ლარი და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებას 109,2 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ღონისძიებები ემსახურებოდა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდებში თვითშემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას, მომავალი თაობის სწორ აღზრდასა და თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებას.

კვლავაც მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩატარებაა დაგეგმილი 2016 წელს განათლების, რელიგიის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის კუთხით. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროექტში „ინტელექტის დღე“, ქ. ქუთაისში გაიმართება მხიარულთა და საზრიანთა კონკურსის რეგიონალური შეხვედრის ფინალური ეტაპი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გუნდი, ტრადიციულად ჩატარდება ინტელექტუალური თამაში „რა?სად?როდის?“, შემეცნებითი პროექტი „ვიცნობდეთ ჩვენ მხარეს“ , მუნიციპალიტეტის წარჩინებული მოსწავლეები ტრადიციულად ჩაერთვებიან მედიაპროექტ „ეტალონში“.

საზეიმო კონცერტით და ფილმის ჩვენებით აღინიშნება: დავით აღმაშენებლის ხსენების, საქართველოს ოკუპაციის, დედისა და ქალთა საერთაშორისო, ფაშიზმზე გამარჯვების, საქართველოს დამოუკიდებლობის, ბავშვთა საერთაშორისო დღეები, მონაწილეობას მივიღებთ „ქუთაისობის“ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულში, იმერეთის თეატრალურ ფესტივალში, საქართველოში გამართულ სხვადასხვა ფესტივალსა და კონცერტში.

დაგეგმილია ასევე სახალხო დღესასწაული „ხარაგაულობა“, სამოყვარულო ფილმების კონკურსში „ჩემი

**გაგრძელება მე-4 გვერდზე**

დასაწყისი მე-3 გვერდზე

იმერეთი“, სამუსიკო სკოლაში რეზო ლაღიძის 95 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი, ლიტერატურული თეატრის მიერ ტრადიციული კონკურსი „ოდეონი“, პროექტი „პაემანი რკინიგზის სადგურზე“ და ლიტერატურული სპექტაკლი, მუზეუმში ტრადიციული „ღვინის ფესტივალი“, „მუზეუმების ღამე“, ხალხური შემოქმედების სახლის მიერ კონცერტები და „თამარობისადმი“ მიძღვნილ საღამო, კულტურის ცენტრის ორგანიზებით გაიმართება ქორეოგრაფიული ფესტივალი „კიდევაც დაიზრდებიან“, მუნიციპალიტეტის სოფლებში თოჯინების სახალხო თეატრის მიერ სპექტაკლები, ცენტრალურ ბიბლიოთეკის მიერ „ საბიბლიოთეკო კვირეული“, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი აქვს კვირეული. წლის ბოლოს კი ტრდიციულად გაიმართა საახალწლო ღონისძიებები.

უკვე მიმდინარეობს სასკოლო ოლიმპიადა, დაგეგმილია ტურნირების ჩატარება თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, მკლავჭიდში, მაგიდის ჩოგბურში. მოეწყობა ზონალური ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში და ანზორ მაღრაძის სახელობის ტრადიციული ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, „სათავგადასავლო ტურთამაშები“, ახალგზრდებისათვის საზაფხულო კარვების ბანაკი სოფელ ზვარეში, ლაშქრობები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.მონაწილეობას მივიღებთ იმერეთის საკალათბურთო ჩემპიონატში,სოფელ ვახანსა და ზვარეში გამართულ სახალხო დღესასწაულებში, რეგიონალურ და რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებებში. ჩატარდება: მინი ფეხბურთის, კალათბურთის და სამაგიდო თამაშების ჩემპიონატები.

საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და სოციალურ პროექტებზე საანგარიშო წელს დახარჯულია 751.6 ათასი ლარი. მათ შორის, საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე - 115,0 ათასი ლარი; რითაც დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში სხვადასხვა სახის პროექტის შესასრულებლად გაიხარჯა: სოციალურ პროგრამებზე - 636.6 ათასი ლარი, აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე - 96,3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის დახმარებებზე 454,5 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 52,0 ათასი ლარი, სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად 31.8 ათასი ლარი, ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვაზე 2,0 ათასი ლარი.

ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტში სოციალური დაცვის მიმართულებით მოქმედებს 4 ძირითადი და 10 ქვეპროგრამა;

სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, სამედიცინო და სხვა სახის მომსახურების პროგრამა მოიცავს: ინდივიდუალური სამედიცინო დახმარებასა და მედიკამენტებით უზრუნველყოფას; ერთჯერად ფინანსურ დახმარებას; ხანდაზმულთა სოციალურ დაცვას; შშმ პირთა სოციალური დაცვას; სოციალურად დაუცველი გარდაცვლილის ოჯახის დახმარებას; სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამას; ლეიკემიით დაავადებულთა და ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციართა ტრანსპორტის ხარჯით უზრუნველყოფას; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების (რომლებიც ვერ მოხვდნენ სახელმწიფო დახმარების მიმღებთა რიცხვში) დახმარების პროგრამას; უსინათლოთა და სამამულო ომის ვეტერანთა ყოველთვიური დახმარებას კომუნალური ხარჯების დასაფარავად; ახალშობილთა ოჯახების დახმარებას; ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯის დაფარვას; სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარებას.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობისა და სხვადასხვა სახის დახმარების სახით გაწეულია 454 531 ლარის ხარჯი. ახალშობილებილთა ოჯახების დახმარების პროგრამის განსახორციელებლად დახარჯულია 52 000 ლარი ( 240 ახალშობილი); ომის ვეტერანის და დევნილის დაკრძალვის ხარჯისთვის 8 გარდაცვლილის ოჯახს გაეწია დახმარება 2000 ლარის ოდენობით. სტიქიური მოვლენებისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე 27ოჯახს დაზიანების კატეგორიების მიხედვით გაეწია დახმარება 31 800 ლარით

ინტენსიურად ხორციელდება სამედიცინო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მონიტორინგი ჯანმრთელობის დაცვის კუთხით ყოველდღიურ რეჟიმში კონსულტაცია ეწევათ მოქალაქეებს საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევის პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებაზე. ასევე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 სექტემბრის N 473 დადგენილების შესაბამისად, გაეწიათ კონსულტაცია და მიეწოდათ მეთოდური დახმარება კანის საფარველის ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების მწარმოებელ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებს ინფექციების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამის ფარგლებში ფინანსდება „ჩ“ ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე საჭირო კვლევები.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მომსახურებას უწევს: 14 სოფლის და დაბის „ემერჯენსის“ ტიპის ამბულატორია,რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტიპის უახლესი აპარატურით და სხვადასხვა დარგის მოწვეული სპეციალისტებით,სოფელ ბორითის ტერიტორიაზე განთავსებული გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და კატასტროფის ცენტრი და დაბის სასწრაფო გადაუდებელი დახმარების სამი ბრიგადა, რომელიც საანგარიშო წელს განთავსდა ახალ შენობაში, უზრუნველყოფილია ბაზისური მედიკამენტებით და სამედიცინო დანიშნულების საგნებით. მართალია, ავტოპარკი შეივსო ორი ერთეული ავტომობილით, მაგრამ, რელიეფიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი საჭიროებს მაღალი გამავლობის ავტომობილის დამატებას,

ინტენსიურად ეგზავნება შუამდგომლობები იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს იმ მოქალაქეთა შესახებ, რომლებიც ითხოვენ გადამოწმებას სოცაგენტის მიერ.

გარკვეული მუშაობაა ჩატარებული თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლადაც. მუნიციპალიტეტის 20 ადმინიტრაციული ერთეულის კერძო სექტორში განსახლებულია 114 დევნილი პიროვნება, რომელიც გაერთიანებულია 36 ოჯახად. 34 ოჯახი - 111 პიროვნება აფხაზეთიდან დევნილია, ხოლო 2 ოჯახი - 3 პიროვნება - სამაჩაბლოდან. ისინი ჩართული არიან მუნიციპალიტეტში მოქმედ ყველა სოციალურ პროგრამაში, ასევე გამონაკლისის სახით, ხდება უკიდურესად გაჭირვებული დევნილი ოჯახების დახმარება საშეშე მერქნით.

საანგარიშო პერიოდში „სათნოების სახლს“ გაწეული აქვს 96300 ლარის ხარჯი, რომელიც ემსახურება 73 ბენეფიციარს. კვებაზე დაიხარჯა 31485 ლარი, საშუალოდ ერთი კ/დღე შეადგენს 1,40 ლარს. ბენეფიციართა კვებასთან ერთად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს სასადილო ეხმარება საკვები პროდუქტით და ამ მიმართულებით დახარჯულია 3650 ლარი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტების შედეგად შემსუბუქდა რიგი მოქალაქეების მატერიალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომი გახადა საზოგადოებაში ინტეგრაცია, სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოსახლეობას გაუუმჯობესდა საცხოვრებელი პირობები. რაც მთლიანობაში აისახა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებით.

სოციალური პროექტების განსახორციელებლად მომავალი წლისათვის გაიხარჯება 687 000 ლარი. აღნიშნული თანხიდან სოციალურ პროგრამებზე - 646 000 ლარი, სამედიცინო, ფინანსური და სხვადასხვა სახის დახმარებისათვის - 48700 ლარი, ახალშობილთა ოჯახების დასახმარებლად - 40 000 ლარი, ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვისათვის - 2 000 ლარი, სტიქიით დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დასახმარებლად - 30 000 ლარი, მიუსაფარი 73 ბენეფიციარის მომსახურეობისათვის - 87 000 ლარი, ბორის საჯარო სკოლა-პანსიონის ბაზაზე არსებული დღის ცენტრისთვის საჭირო ინვენტარის შეძენად - 8 000 ლარი, ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის ბაზაზე დღის ცენტრისათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად 23 000 ლარი

ქონების გადასახადი საანგარიშო წელს მუნიციპალიტეტს დაგეგმილი ქონდა 880,0 ათასი ლარით, მიღებული აქვს 963,1 ათასი ლარი, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადიდან მიღებულია 65,0 ათასი ლარი, არასასოფლო—სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადიდან 898,0 თასი ლარი და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონების გადასახადიდან 0,1 ათასი ლარი , მიწის იჯარიდან მისაღები 20,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 35,9 ათასი ლარი, ადმინისტრაციული მოსაკრებელებისა და გადასახდელების 8,0 ათასი ლარის ნაცვლად მობილიზებულია 12,6 ათასი ლარი;არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 17,1 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად მიწების პრივატიზებიდან იქნა მიღებული.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა და დარეგისტრირდა სოფელ წყალაფორეთში მდებარე 953 მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სოფელ უბისაში 223, 6მ2, 20 მ2, და 277მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები - უბისის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. დარეგისტრირდა: დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის მეორე შესახვევში მდებარე 777მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“ სამსახურის ტექნიკის განსათავსებლად, სოფელ ხიდარში 957 მ2, სოფელ ფონაში 522 მ2, სოფელ ხევში 501 მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები - სარიტუალო შენობების განსათავსებლად. სოფელ ჭარტალში 500 მ2 და დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის პირველ ჩიხში 30 მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები შემდგომი პრივატიზების მიზნით.

დამატებითი ქონების სახით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა და დარეგისტრირდა: დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ.N7-ში მდებარე 37, 96 მ2 შენობის ფართი, რომლითაც ამჟამად სარგებლობს „ხარაგაულდასუფთავების“ სამსახური, აგრეთვე დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქ. N90 ა-ში მდებარე 14465 მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები N39, 9 მ2, N2 43,23 მ2, N3 68,58 მ2, N4 12, 82 მ2 ფართით (ჭაბურღილი), რომლის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს ამჟამად. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოეცა სოფელ ზვარეში მდებარე ყოფილი პიონერთა ბანაკის 12408 მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა. დავარეგისტრირეთ სოფელ ვარძიაში ამბულატორიის შენობა-ნაგეობობა, სოფელ ვერტყვიჭალაში მდებარე 620 მ2 ხაზობრივი ნაგეობობა, ასევე სოფელ კიცხში 20385 მ2 და სოფელ ლახუნდარაში 21114მ2 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემული ქონების, სოფელ მარელისის კლუბის, უბისის ყოფილი კლუბის შენობის, ვერტყვიჭალის კლუბის და მასზე დამაგრებული მიწის ფართობის დაზუსტება საჯარო რეესტრში.

სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზურფრუქტით გადაეცა: სოფელ ღორეშის ადმინისტრაციული შენობის პირველ და მეორე სართულზე მდებარე 4 ოთახი 127 მ2 ფართით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ა(ა)იპ ხარაგაულის კულტურის ცენტრს კინოთეატრის შენობა წლის ბოლომდე, ეროვნული აღსრულების ბიუროს დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ. N19ა ში მეორე სართულზე 9,29 მ2 ფართი, ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებიას სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზურფრუქტის წესით არსებობის ვადით გადაეცით: სოფელ ბორითის, კიცხის, წყალაფორეთის, ვარძიის, ხიდრის, ზვარის, ვახანის, ლეღვნის საბავშვო ბაღები.

თხოვების წესით გადაეცა: ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“ ავტომანქანა უაზ 3154, სახელმწიფო N LEO - 632, ორი წლის ვადით, ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობას“ ავტომანქანა უაზ 3154 სახელმწიფო ნომრით: LEO- 634, და შპს „ხარაგაულ-2011-ს“ ავტობუსი პაზ 672, სახელმწიფო ნომრით: ჟVV-758, ავტობუსი პაზ 686, სახელმწიფო ნომრით: BIB-092, გაფორმდა დასუფთავების გადასახადის 50 ხელშეკრულება საბიუჯეტო ორგანიზაციებთან, ინდმეწარმეებთან და ფიზიკურ პირებთან. სულ შემოსულია 4900 ლარი. განვლილ პერიოდში საიჯარო ქირიდან შემონატანი ადგილობრივ ბიუჯეტში შეადგენს 20332 ლარს.

შესრულებული სამუშაოების შედეგად სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემულ ქონებებზე განხორციელდა მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში აშენდა და ფუნქციონირებს საბავშო ბაღები, ქონებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირები, მნიშვნელოვნად გაიზარდა დასუფთავების მოსაკრებლიდან და საიჯარო ქირიდან შენატანები ადგილობრივ ბიუჯეტში.

მომავალი წლიდანაც აქტიურად გაგრძელდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაცია კოოპერაციული მეურნეობების შექმნის ხელშეწყობის მიზნით, ასევე ინვესტიციების მოსაზიდად დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ეტაპობრივი პრივატიზება.

საანგარიშო პერიოდში აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა: ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა-2009ს“, ა(ა)იპ „შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლას“, ა(ა)იპ „სათნოების სახლს“, ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს“, ა(ა)იპ „ხარაგაულის ხალხურ შემოქმედების სახლი “, ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება“-ს, ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობა“-ს, ა(ა)იპ „კულტურის ცენტრს“, ა(ა)იპ „ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს“,ა(ა)იპ „ახალ ხარაგაულს“, ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“. ასევე, 2014 წლის აუდიტორული შემოწმების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად მონიტორინგი ჩაუტარდა 2014 წელს შემოწმებულ ობიექტებს: შპს „ხარაგაული-2011-ს“, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრს“, ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშწყობის ცენტრს“. მონიტორინგი ჩაუტარდათ ასევე: ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა-2009“-ს, ა(ა)იპ „შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“-ს, ა(ა)იპ „სათნოების სახლს“, ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრს“, ა(ა)იპ „ხალხური შემოქმედების სახლს“, ა(ა)იპ „ ხარაგაულ დასუფთავებას“, ა(ა)იპ „ხარაგაულ კეთილმოწყობას“, ა(ა)იპ „კულტურის ცენტრს“.

შემოწმებულ ყველა ობიექტში აღმოჩენილი იქნა დარღვევები შესყიდვების და საკანცელარიო საქმისწარმოების მიმართულებით. ყველგან იყო ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით გადახარჯვის შემთხვევები, ა(ა)იპ „ ხარაგაულის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ცენტრიში“, ა(ა)იპ „ხალხური შემოქმედების სახლიში“ და ა(ა)იპ „კულტურის ცენტრიში“ იყო შეცდომები კადრების შერჩევის და მათ შორის ფუნქციების გადანაწილებაშიც. სუსტი შიგა კონტროლის შემთხვევები დაფიქსირდა ა(ა)იპ „კულტურის ცენტრისა“ და ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრიში“. შემოწმებული ყველა ობიექტის მიმართ დადგენილია შესაბამისი რისკები, ხოლო მათი გადაჭრის გზები გაწერილია სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებში, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, გათვალისწინებულ იქნა ობიექტების მიერ.

სამსახურის მუშაობის შედეგად აღმოიფხვრა აღმოჩენილი ზოგიერთი რისკი, ზოგი კი შემცირდა, რაც დასტურდება 2016 წლის წლიური გეგმით, რომლის მიხედვითაც, წინათ საშუალო რისკის მქონე ობიექტები მოხვდნენ დაბალი რისკის მქონეთა რიცხვში.

მუნიციპალიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა, საგანმანათლებლო, რელიგიურ და კულტურულსპორტულმა პროექტებმა არსებით გავლენა მოახდინა მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესებაზე.

2015 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ არაერთ წარმატებას მიაღწია:

2015 წლის 11 მარტს ექსპრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილის მიერ მუნიციპალიტეტების გამგებლებთან და მერებთან შეხვედრის დროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტი პროექტების დროულად განხორციელებისა და სხვადასხვა ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ვადებში ათვისების კუთხით ერთ-ერთ საუკეთესო მუნიციპალიტეტად დაასახელდა.

როგორც ვიცით, 2015 წლის 19 ივნისს ხარაგაულმა ოლიმპიურ ცეცხლს უმასპინძლა. საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა ოლიმპიური ცეცხლის კარგად ორგანიზების, ოლიმპიური მოძრაობის მხარდაჭერისა და ხარაგაულში ოლიმპიური ღონისძიებების ორგანიზებისთვის სპეციალური დიპლომით დააჯილდოვა.

აღსანიშნავი და საამაყოა ჩვენთვის ასევე ის, რომ თბილისში 12 დეკემბერს გამართულ კონფერენციაზე „ადგილობრივი თვითმმართველობა — საუკეთესო პრაქტიკა 2015” ხარაგაული 10 საუკეთესო პრაქტიკის მქონე თვითმმართველ ორგანოს შორის დააჯილდოეს.

კონფერენციაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტს წარმოდგენილიჰქონდა : „პრაქტიკა პოლიეთილენი—დიოქსინ ფურანები სწარმოშობის წყარო და მასთან ბრძოლასა ზოგადოების მხარდაჭერით.“( პროექტის ავტორი ხათუნა მანჯავიძე).

დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით განხორციელებული მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამით განხორციელებული 6 პროექტი: ხათუნა ლურსმანაშვილის მიერ ოპტიკის მაღაზია დაბაში, დინარა ხაჩიძის პურის საცხობი სოფელ ღორეშაში, ბესიკ ხიჯაკაძის სათბური სოფელ ვარძიაში, თინათინ დავაძის სამკერვალო დაბაში, ნუგზარ ტაბატაძის ხის საამქრო სოფელ ხევში და გია ტყეშელაშვილის ავეჯის საამქრო დაბა ხარაგაულში.

ასევე 2015 წლის 22 დეკემბერს თბილისში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ საჯარო მოხელეთა ატესტაციის მონიტორინგის ფარგლებში ხარაგაული ყველაზე კარგი შედეგის მქონე მუნიციპალიტეტად დაასახელა. შეხვედრაზე სამართლიანი არჩევნების თავმჯდომარემ ნინო ლომჯარიამ დასძინა, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საკონკურსო - საატესტაციო კომისიამ ყველაზე კარგად იმუშავა და კონკურსმა ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაირა.

მნიშვნელოვანია, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ ჩატარებული იმერეთის მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებგვერდების კვლევა, სადაც ხაზგასმით წერია, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე და ინფორმაციულ ვებგვერდად დასახელდა. ერთ-ერთ წარმატებად მიგვაჩნია ასევე ის, რომ იმერეთის მუნიციპალიტეტებს შორის ხარაგაული ერთ-ერთია, სადაც მუნიციპალიტეტის გამგეობის ცხელი ხაზი წარმატებით ფუნქციონირებს.

# სოფელ ვარძიაში ხანძრის შედეგად დაზარალებულ ნიქაბაძეების ოჯახს საკვები პროდუქტები და საოჯახო ნივთები გადაეცა



12 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორის სკოლა—პანსიონის (დირექტორი **ჰამლეტ ბერაძე**) სამოქალაქო „smart კლუბის" წევრებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსთან, **ალექსანდრე ტაბატაძესთან**, ერთად სოფელ ვარძიაში ხანძრის შედეგად დაზარალებული ნიქაბაძეების ოჯახი მოინახულეს და მათ საკვები პროდუქტები და საოჯახო ნივთები გადასცეს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა დღეს ბორის სკოლა-პანსიონის სამოქალაქო „Smart კლუბის" სოციალური ხასიათის აქციებს პირველად შეუერთდა. ეს ურთიერთთანამშრომლობა სოციალური ხასიათის პროექტების ერთად დაგეგმვასა და განხორციელებას გულისხმობს.

**მერაბ ნიქაბაძის** ოჯახს საცხოვრებელი სახლი ერთი თვის წინ დაეწვა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა მას ერთჯერადი თანხით - 300 ლარით და სტიქიით დაზარალებულთა პირველ კატეგორიაში გათვალისწინებული თანხის ორმაგი რაოდენობით, 2400 ლარით, დაეხმარა.

**მაია გურგენიძე** (ნიქაბაძეების ოჯახის წევრი): „სახლის მშენებლობა ისევ ნასახლარზე დავიწყეთ. ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჩარიცხული თანხით შევიძინეთ სამშენებლო მასალა. სოფელი გვერდით გვიდგას, გვეხმარებიან. კმაყოფილი ვარ დღევანდელი დღით. მადლობა ყველას. ახლა ჩვენთვის ყველანაირი დახმარება მნიშვნელოვანია."

როგორც ნიქაბაძეების ოჯახის წევრებს **ალექსანდრე ტაბატაძემ** განუცხადა, უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტის გამგეობა საქველმოქმედო ღონისძიების ჩატარებას გეგმავს, საიდანაც შემოსული თანხა მათი სახლის მშენებლობას მოხმარდება.

გამგებლის წარმომადგენელმა ვარძიის ადმინისტრაციულ ერთეულში, **მზექალა გლუნჩაძემ** ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი მაქსიმალურად უდგას გვერდით **მერაბ ნიქაბაძის** ოჯახს. „უახლოეს დღეში შეკეთდება სახლამდე მისასვლელი 500 მეტრიანი გზა, რომელიც ამჟამად ამორტიზებულია და ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია. სამშენებლო მასალის მოტანა ფიზიკური შრომით უწევთ. მადლობა ბორის სკოლა-პანსიონის სამოქალაქო კლუბსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობას დღევანდელი აქციისთვის".

სამოქალაქო კლუბის წევრები ნიქაბაძეების ოჯახს ფიზიკურად დაეხმარნენ და მშენებარე სახლის მიმდებარე ტერიტორია ძველი სახლის ნანგრევებისგან გაასუფთავეს.

**თეა ბერიძე**
**მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში**

# ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში დავითობისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

12 თებერვალს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში (დირექტორი **ნინო დიდიძე**) წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ორგანიზებას ისტორიული მუზეუმის დირექტორის მოადგილე, ფონდის მთავარი მცველი, **ეკა შველიძე**, უწევდა. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **ირინე ჩხეიძე**, საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **მარინე ვეფხვაძე**, ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი **ნიკოლოზ მაჭავარიანი**. მოწვეულ სტუმართა რიცხვს შორის იყვნენ ასევე წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის კურსდამთავრებულები, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტები არიან.



შეხვედრაზე ქალბატონმა ეკამ დავითის მეფობის მოკლე ისტორიული მონაცემები გაგვაცნო. მეფის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრეს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეებმა.

ღონისძიებაზე მხატვრული ოსტატობით იქნა წაკითხული დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ლექსები.

ნინო სახვაძის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა მგალობელთა გუნდმა „ალილომ" (პედაგოგი **თორნიკე ბაკურაძე**) შეასრულა საგალობელი წმინდა დავით მეფის ტროპარი, „გული ჩემი აღავსე სინანულად" და სიმღერა „მრავალჟამიერ".

ღონისძიების დასასრულს, სტუმრებმა თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს და მადლობა გადაუხადეს ქალბატონ **ეკა შველიძეს** ლამაზი საღამოსათვის.

**თამარ მაღრაძე**

# 2016 წელს „სოფლის მხარდამჭერი პროგრამისათვის" საქართველოს მასშტაბით 50 მილიონი ლარი დაიხარჯება

საქართველოს მთავრობის 4 თებერვლის N54 დადგენილებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" დამტკიცდა. პროგრამის განსახორციელებლად საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 50 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

მთავრობის დადგენილებაში წერია, რომ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია პროექტების თანადაფინანსება, როგორც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ასევე საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების სახსრებით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო დასახლებებზე თანხის გაანგარიშებას შემდეგი პრინციპის დაცვით ახდენს:

ერთიდან 200 სულის ჩათვლით დასახლებისთვის - 4 000 ლარი;

201-დან 400 სულის ჩათვლით დასახლებისთვის - 5 000 ლარი;

401-დან 1 000 სულის ჩათვლით დასახლებისთვის - 8 000 ლარი;

1 000-ზე მეტსულიანი დასახლებისთვის - 12 000 ლარი.

დასახლებისთვის თანხის ხარჯვის მიზნობრიობა დგინდება მოსახლეობასთან შეხვედრის გამართვით ან საერთო კრების ჩატარებით, რაც საერთო კრების ოქმში აისახება. საერთო კრების ოქმს დასახლების წარმომადგენელი წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს, ეს უკანასკნელი ამზადებს ინფორმაციას და საორიენტაციო თანხის შესახებ უთანხმდება სამინისტროს.

მთავრობის დადგენილებაში ასევე წერია, რომ „სოფლის მხარდამჭერი პროგრამით" გამოყოფილი თანხა უნდა მოხმარდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტებით განსახორციელებელ მშენებლობას ან რეაბილიტაციას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას. შესყიდული სამუშაო პირდაპირ უნდა აისახებოდეს მოსახლეობის მატერიალური, ყოფითი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე სამუშაოთა შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს ადგილობრივი მოსახლეობა.

დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში ხაზგასმით წერია, რომ მოსახლეობის საერთო ინტერესების გათვალისწინებით დასაშვებია რამდენიმე დასახლებისთვის გამოყოფილი თანხის გაერთიანება ამ დასახლებების საერთო პრობლემების გადასაწყვეტად.




სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერით.

„სოფლის მხარდამჭერის პროგრამის" მიმდინარეობას და შესრულების მონიტორინგს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს.

როგორც ჩვენთან საუბარში გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონიმიკის სამსახურის უფროსმა, **მალხაზ ფხალაძემ,** აღნიშნა, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საერთო კრებების ჩატარება მას შემდეგ დაიწყება, როდესაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფა გახდება ცნობილი.

# ბორის საჯარო სკოლა-პანსიონში ღონისძიება გაიმართა

15 თებერვალს ბორის საჯარო სკოლა-პანსიონში (დირექტორი **ჰამლეტ ბერაძე**) სიყვარულის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება გაიმართა. უკვე რამდენიმე წელია ამ სკოლაში სიყვარულის დღის აღნიშვნა ტრადიციად იქცა. ღონისძიებაში IX, X, XI, XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. კაფე-საღამოზე სამი გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. „Super stars", „12+1" და „კანუდოსელები" გუნდური შეჯიბრების პრინციპით წარსდგნენ სტუმრების წინაშე. მონაწილეებმა ქართველი და უცხოელი პოეტების მიერ სიყვარულზე დაწერილი ლექსები წაიკითხეს. შეასრულეს ქართული და ევროპული ცეკვები, წარმოადგინეს იუმორისტული ნომრები, წარმოთქვეს ორიგინალური სადღეგრძელოები. თითოეულ მაგიდას სიყვარულის თემაზე შექმნილი „ორიგინალური ტორტი" ამშვენებდა. ყველაზე „ორიგინალური ტორტის" წოდება XI კალასელთა გუნდმა „12+1" მიიღო. საღამოზე ნაჩვენები ყველა ნომერი სიყვარულთან იყო დაკავშირებული. გუნდების მიერ წარმოდგენილ ნომრებს სპეციალურად შერჩეული ჟიური აფასებდა. სიყვარულის ორიგინალური დემონსტრირების პაექრობაში გამარჯვებული მე-10 კლასი გუნდი „Super stars" გახდა. ღონისძიების დასასრულს არჩეულ იქნა სკოლის 2016 წლის „Mrs" და „Mrs", რომლებსაც სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ღონისძიებას მასწავლებლები, მშობლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

**მარიანა ბურჯალიანი**



# ხარაგაულელი სპორტსმენების მორიგი წარმატება

10 თებერვალს ჩატარდა ხაშურის ღია პირველობა სამბოში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხევის ძიუდოს სექციის მოსწავლეებმა (მწვრთნელი სოსო ხაჩიძე). აღნიშნულ ტურნირში ჩემპიონი ნიკა გრიგალაშვილი გახდა. II საპრიზო ადგილი ლევან ხაჩიძემ და ზურა ლომიძემ დაიკავეს, ხოლო III ადგილზე ლუკა ნოზაძე და რამაზ ხაჩიძე გავიდნენ.

* * *

13 — 14 თებერვალს თერჯოლის მუნიციპალიტეტში ჩატარდა მირიან გიორგაძის სახელობის VII რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ტურნირში კიცხის ჭიდაობის სექციის მოსწავლეები მონაწილეობდნენ(მწვრთნელი - ვეფხვია გამრეკელაშვილი).

II ადგილი დაიკავა დაჩი კვინიკაძემ - კიცხის საჯარო სკოლა;

III - ადგილზე კი გავიდა ნოდარ ბააკაშვილი - ვარძიის საჯარო სკოლა.

* * *

ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის (დირექტორი - დავით გელაშვილი) აღსაზრდელი, ევსემ შველიძე, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრებში მიიწვიეს, სადაც მან ბორჯომში გაიარა ორ კვირიანი შეკრება მწვრთნელ რეზო შერგელაშვილთან.

**ა(ა)იპ „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრი"**

# ა ნ გ ა რ ი შ ი

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის წლიური ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 10726,8 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 10431,9 თასი ლარის შემოსულობები, შემოსულობების გეგმა შესრულებულია 97,3 პროცენტით.

შემოსულობების წლიური გეგმა დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრებოდა 6547,1 ათასი ლარი, წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შემოსულობების გეგმა გაიზარდა 4179,7 ათასი ლარით და განისაზღვრა 10726,8 ათასი ლარით (ზრდა მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 3321,1 ათასი ლარით და 2015 წლის პირველი იანვრისათვის არსებული ნაშთის გამოყენებიდან 858,6 ათასი ლარით)

მუნიციპალიტეტის შემოსულობებში სახელმწიფოდან მიღებული ტრანსფერების შემდეგ ყველაზე მეტი ხვედრითი წილი მოდის ქონების გადასახადზე.

ქონების გადასახადი 2015 წელს მუნიციპალიტეტს დაგეგმილი 880,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებული აქვს 963,1 ათასი ლარი და გეგმა შესრულებულია 109,4 %-ით, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი მიღებულია 65,0 ათასი ლარი, არასასოფლო—სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 898,0 ათასი ლარი და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონების გადასახადი 0,1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი 2015 წელში დაგეგმილი იყო 7765,2 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 7764,7 ათასი ლარი, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებულია სრულად და შეადგენს 4306,1 ათას ლარს, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ასევე მიღებულია სრულად 138,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან, კერძოდ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 2553,6 ათასი ლარიდან მიღებული გვაქვს 2553,1 ათასი ლარი და სოფლის მხარდამჭერი პროგრამით დაგეგმილი 767,5 ათასი ლარი ასევე მიღებული გვაქვს სრულად. სულ ფონდებიდან მისაღები ტრანსფერების გეგმას დააკლდა მხოლოდ 0,5 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების წლიური გეგმა განისაზღვრა 1223,0 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 828,5 ათასი ლარის სხვა შემოსავლები, დაგეგმილზე 394,5 ათასი ლარით ნაკლები, გეგმის შესრულებულია 67,7 %-ით.

არ შესრულდა ბანკიდან მისაღები პროცენტების გეგმა და დაგეგმილი 60,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ 33,2 ათასი ლარი, ასევე დაგეგმილზე ნაკლები თანხებია მობილიზებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელში და დაგეგმილი 115,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 79,1 ათასი ლარი, შეუსრულებელი დარჩა ჯარიმები, სანქციები და საურავები დაგეგმილი შემოსავლების გეგმაც, აღნიშნულ სახეში დაგეგმილი 1020,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია მხოლოდ 666,5 ათასი ლარი და გეგმის შესრულებას დააკლდა 353,5 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტმა 2015 წელს შეასრულა მიწის იჯარიდან მისაღები შემოსავლების გეგმა და 20,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 35,9 ათასი ლარი, ასევე გადაჭარბებით შესრულდა ადმინისტრაციული მოსაკრებელებისა და გადასახდელების გეგმა და დაგეგმილი 8,0 ათასი ლარის ნაცვლად მობილიზებულია 12,6 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე 2015 წელს შემოსავალი არ დაგეგმილა და ფაქტიურად შემოსულია 17,1 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად მიწების პრივატიზებიდან იქნა მიღებული.

გარდა ზემოთ აღნიშნული შემოსულობებისა ხარჯების დაფინანსების წყაროდ 2016 წელში გამოყენებულია 2015 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახსრების ნაშთი, რომელიც 2015 წლის პირველი იანვრისათვის შეადგენდა 912,8 ათას ლარს, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად აღნიშნული ნაშთიდან მუნიციპალიტეტის მიერ გადასახდელების დასაფარავად გამოყენებული იქნა 858,6 ათასი ლარი, მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ნაშთი 28,3 ათასი ლარი და საკუთარი სახსრების ნაშთი 830,3 ათასი ლარი, ფაქტიურად 2015 წელს მუნიციპალიტეტის მიერ ათვისებული იქნა 858,5 ათასი ლარი.

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის წლიური ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში** განისაზღვრა 10726,8 ათასი ლარი, ფაქტიურად კი გაწეულია 9929.7 ათასი ლარი, 2015 წლის ხარჯები დაფინანსებულია 92,6 პროცენტით.

**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების** ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 2121,0 ათასი ლარიდან გაწეულია 2000.2 ათასი ლარი, 94,3 %. მათ შორის: მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები 2015 წელში განსაზღვრული 588,8 ათასი ლარიდან გაწეულია 551,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 93,6 პროცენტით.

მუნიციპალიტეტის გამგეობის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 1513,5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1449,0 ათასი ლარი, 95,7 პროცენტით,. 2015 წელს მუნიციპალიტეტს სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 72,0 ათასი ლარით, რომელიც, საქ. საბიუჯეტო კოდექსისის მე-10 თავის 67- მუხლის 1-2 პუნქტების შესაბამისად განაწილდა 55,3 ათასი ლარი კანონმდებლობის სრულად დაცვით.

6,0 ათასი ლარი მიიმართა დაბა ხარაგაულში მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ქუჩების მიმდებარედ არსებული ხმელი ხეების მოსაჭრელად;

10,1 ათასი ლარი მიიმართა საღანძილის ადმ/ერთეულის სოფლების ჩხერი, საღანძილე, ვანი, სხლითი, ზარანი და ფარცხნალის ადმ/ერთეულის სოფელ ისლარის ღვარცოფისაგან დაზიანებული გზების გასაწმენდად;

36,8 ათასი ლარი მიიმართა სოფ. ვახანის ინასარიძეების უბნის 2 კილომეტრიანი გზის, ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი ცენტრალური და საუბნო გზების, ხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში, სოფელ ხუნევის, სოფელ ვერტყვიჭალის, ბჟინევის, გედასამანიისა და ბორითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში სტიქიის შედეგად დაზიანებული სასოფლო გზების შესაკეთებლად;

2,4 ათასი ლარი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წიფასა და ქროლში სტიქისაგან დაზიანებული წყლის სისტემის მოსაწყობი სამუშაოების შესასრულებლად.

**თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების ხარჯების დასაფინანსებლად** დაგეგმილი 403,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 272,7 ათასი ლარი, მ.შ. სახანძრო—სამაშველო სამსახურის ხარჯები დაგეგმილი 306,2 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 178,0 ათასი ლარი;

თავდაცვის ხარჯები 96,8 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 94,6 ათასი ლარით, ანუ 97,7 პროცენტით, თავდაცვის ხარჯები მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობებით დაფინანსებულია 68,6 ათასი ლარი და დელეგირებული ტრანსფერით 26,0 ათასი ლარი.

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები** 2015 წლის წლიური შედეგების მიხედვით დაგეგმილი 4519,2 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 4070.3 ათასი ლარით, 90,1 პროცენტით;

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაგეგმილი 1980,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 1601.5 ათასი ლარი, ე. ი. პროგრამა დაფინანსებულია 80,9 პროცენტი, აქედან:

- გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები დაგეგმილი 1855,9 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1505,1 ათასი ლარი, მათ შორის 1386,8 ათასი ლარი გაწეულია სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან, საიდანაც საქ. მთავრობის 2015 წლის 20.01. #39 განკარგულებით რეგიონალური პროექტების განვითარების ფონდიდან შესრულებულია 1328,8 ათ. ლარის სამუშაო. მათ შორის კიცხი-ხიდარის გზის მოასფალტებაზე 655,3 ათ. ლარი, ხარაგაული-ბაზალეთის გზის მოასფალტებაზე 585,0 ათასი ლარი, ბორითი-მარიამწყარო-ღორეშის გზის რეაბილიტაციაზე 83,0 ათასი ლარი და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შედგენაზე 5,5 ათასი ლარი;

საქ. მთავრობის 2015 წლის 24.11. #2529 განკარგულებით სტიქიით დაზიანებული გზების რეაბილიტაციაზე 58,0 ათასი ლარი, აღნიშნული დადგენილებთ გამოყოფილი სახსრებით რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის ტ/ერთეულებში სტიქიის შედეგად დაზიანებულ შიდა სასოფლო გზებს.

გარდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებისა გზების რეაბილიტაციაზე მუნიციპალიტეტმა საკუთარი სახსრებით გაწია 118,3 ათასი ლარის ხარჯი;

- ხიდების და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაციაზე გასულ წელს მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულია 92,5 ათასი ლარის სამუშაოები, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრებიდან გაწეულია 38,0 ათასი ლარი და საკუთარი სახსრებით 54,5 ათასი ლარი.

- მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტმა დახარჯა 13,3 ათასი ლარი, აქედან საანგარიშო წლის პირველ ნახევარში ამ პროგრამის სუბსიდირებაზე 9,5 ათასი ლარი და წლის მეორე ნახევარში მომსახურების შესყიდვაზე, კერძოდ სამარშრუტო ტაქსის დაქირავებაზე 3,8 ათასი ლარი.

2) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე გათვალისწინებული 954,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 932,2 ათასი ლარი, ე.ი. 97,7 პროცენტი, ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:

- სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების მოსაწყობი სამუშაოები 32,5 ათასი ლარის ფარგლებში მთლიანად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქ. მთავრობის #39 განკარგულებით.

- დასუფთავების ღონისძიებების სუბსიდირებაზე გასულ წელს დაიხარჯა 519,0 ათასი ლარი, ამ ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ,,ხარაგაულდასუფთავებამ მომსახურეობა გაუწია მუნიციპალიტეტის ტ/ერთეულების სოფლებს ზვარე, მოლითი, ბეჟათუბანი, დიდვაკე, ჯაფაროული,ბაზალეთი, ფარცხნალი, თეთრაწყარო, საქარიქედი,კიცხი,ხიდარი, ვარძია, წყალაფორეთი, ბორი, ლაშე, უბისა, მაქათუბანი, ბორითი, საქასრია,, ვერტყვიჭალა, ხევი, ხუნევი, რიკოთი, სადაც განთავსებულია 143 ცალი ნარცენების შემაგროვებელი კონტეინერი. რომელსაც ემსახურება 27 მეეზოვე, მათ შორის 14 დაბასა და 13 ტერიტორიული ერთეულების სოფლებში ნარჩენების გატანა ხდებოდა ორი ერთეული ,,ისუზუს" ტიპის სპეციალური ავტომანქანით.

- წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე მუნიციპალიტეტმა 2015 წელს გახარჯა 195,8 ათასი ლარი,მ. შ. საქ. მთავრობის N 39 განკარგულებით 174,9 ათასი ლარი და საკუთარი სახსრებით 20,9 ათასი ლარი.

- მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციისათვის საპროექტო-საღარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად დაიხარჯა 0,9 ათასი ლარი.

- გარე განათების რეაბილიტაციაექსპლუატაციაზე მუნიციპალიტეტმა დახარჯა 184,0 ათასი ლარი, აქედან 3,4 ათასი ლარი გარე განათების ქსელის მოსაწყობად საქ. მთავრობის N 39 განკარგულებით და 180,6 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით გარე განათების ქსელის სუბსიდირებაზე.

3) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი 708,2 ათასი ლარიდან 690,7 ათასი ლარი იქნა ათვისებული, ე.ი. გეგმა შესრულებულია 97,5 %-ით.

აქედან:

- პარკების და სკვერების სუბსიდირებაზე 229,9 ათასი ლარი და ცენტრალური პარკის ღია ესტრადის მოწყობაზე 455,2 ათასი ლარი, აქედან 452,9 ათასი ლარი დახარჯულია საქ. მთავრობის #39 განკარგულებით და 2,3 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით დაიხარჯა ელექტროენერგიიის დასაერთებლად.

- სასაფლაოების მოვლა-პატრონობაზე დახარჯულია 5,6 ათასი ლარი.

4) სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 2015 წელში 844,4 ათასი ლარით განისაზღვრა, აქედან 767,5 ათასი ლარი გამოყოფილი იყო 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამით, 20,2 ათასი ლარი იყო გასული წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის თანხა და 56,3 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი სახსრების თანადაფინანსებით გამოყოფილი თანხა, ფაქტიურად მოხდა 834,9 ათასი ლარის დახარჯვა და პროგრამა დაფინანსდა 98,9 პროცენტით. სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში საქ. მთავრობის #506 განკარგულებით დახარჯულია 760,6 ათასი ლარი, მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე დაიხარჯა 209,9 ათასი ლარი; წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე 47,3 ათასი ლარი;

სარიტუალო დარბაზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვაზე 182,8 ათასი ლარი; სოფლის სახლის მშენებლობაზე 158,5 ათასი ლარი; სასაფლაოების შემოღობვასა და ომში დაღუპულთა მემორიალის გალავნის მოწყობაზე 80,6 ათასი ლარი; საბავშვო ბაღის ეზოს მოწყობაზე 30,0 ათასი ლარი; ბიბლიოთეკებისა და სპორტული მოედნების მოწყობაზე 19,5 ათასი ლარი; გარე განათების ქსელის მოწყობაზე 27,5 ათასი ლარი, წისქვილების რებილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა 4,5 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით ზემოთ ჩამოთვლილ პროგრამებზე თანადაფინანსების წესით გასწია 54,2 ათასი ლარი, ხოლო გასული წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ნაშთიდან დაიხარჯა 20,2 ათასი ლარი;

5) სოფლის მეურნეობის დაფინანსების პროგრამით 2015 წელს კვლავ გაგრძელდა მევენახეობის სანერგე მეურნეობის დაფინანსება, რაზედაც წლის განმავლობაში დაიხარჯა 11,1 ათასი ლარი.

**განათლებაზე** 2015 წელში გათვალისწინებული 1252,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 1237,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 98,8 პროცენტით, სკოლამდელი დაწესებულებეის სუბსიდირებას მოხმარდა 991,7 ათასი ლარი, კიცხის სკოლა- ინტერნატის სუბსიდირებას 136,6 ათასი ლარი და მოსწავლეახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებას 109,2 ათასი ლარი.

მიმდინარე წელს გაიხსნა, სოფელ წყალაფორეთის, წიფისა და ზვარის საბავშვო ბაღები. **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილი** 1613,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 1582.2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 98.0 პროცენტი, აქედან სპორტის განვითარებაზე დახარჯულია 614,9 ათასი ლარი, აქედან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 4,9 ათასი ლარი, სპორტული სკოლის სუბსიდირებაზე 235,0 ათასი ლარი, საფეხბურთო კლუბი ,,ჩხერიმელა - 2009" -ის დაფინანსებაზე 250,0 ათასი ლარი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 125,0 ათასი ლარი.

კულტურის განვითარებაზე 907,4 ათასი ლარი, აქედან 91,7 ათასი ლარი საქ. მთავრობის #39 განკარგულებით დახარჯულია ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციაზე ხოლო კულტურის სუბსიდირებას მოხმარდა 815,7 ათასი ლარი, მათ შორის სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე 99,8 ათასი ლარი, ხალხური შემოქმედების სახლის სუბსიდირებაზე 80,0 ათასი ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 276,5 ათასი ლარი, ისტორიული მუზეუმის სუბსიდირებაზე 96,0 ათასი ლარი და ლიტერატურული თეატრის სუბსიდირებაზე 55,0 ათასი ლარი.

ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობაზე 47,5 ათასი ლარი, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე დაიხარჯა 12,4 ათასი ლარი.

**მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე** დაგეგმილი 817,6 ათასი ლარიდან ათვისებულია 766.7 ათასი ლარი, 93.8 %; აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია115,0 ათასი ლარი;

სოციალურ პროგრამებზე 2015 წელში მიიმართა 651.8 ათასი ლარი, აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე 96,3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 454,5 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 52,0 ათასი ლარი, სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად 46,8 ათასი ლარი, ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვაზე 2,0 ათასი ლარი.

საბოლოოდ მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წელში გახარჯული 9929,7 ათასი ლარიდან საკუთარი შემოსავლების ხარჯზე გახარჯული 6810,8 ათასი ლარი, აქედან:

შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 1495,2 ათასი ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 112,9 ათასი ლარი, სამივლინებო ხარჯებზე 12,8 ათასი ლარი, საოფისე ხარჯებზე 137,4 ათასი ლარი;

წარმომადგენლობით ხარჯებზე 17,8 ათასი ლარი, სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯებზე 119,9 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების შესყიდვაზე 305,8 ათასი ლარი, სუბსიდირებაზე 3619,8 ათასი ლარი, გრანტებზე 178,1 ათასი ლარი; სოციალურ უზრუნველყოფაზე 542,6 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე 15,7 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივებისზრდაზე 252,8 ათასი ლარი.

**გამომცემელი** ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1500 ცალი
**დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12**